ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2343936

ნომერი: AR1359635

თარიღი : 27.11.2015

გაცემის თარიღი : 15.12.2015

გაცნობის თარიღი : 16.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N53 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ მაცაბერიძე პ/ნ 01005009401
- თბილისი გორის ქ. N 21

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის„„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანებისრეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქ. #53–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: N01.13.03.010.054, N1896733 (15.05.2015) ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას დადგენილი პარამეტრების ცვლილების მიზნით, გაცნობებთ, რომ საკითხი აღნიშნული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ განიხილა „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2015 წლის 3 დეკემბრის N56 სხდომამ, სადაც საკითხი გადაწყდა დადებითად და არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვრა კ1=0,5-ით („ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ სხდომის ოქმი და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება მომზადებისთანავე მოგეწოდებათ დამატებითი შეტყობინებით).

ამასთან გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მოთხოვნილი ცვლილება არ საჭიროებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება შეგიძლიათ თან დაურთოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს და მოთხოვნა პირდაპირ დააყენოთ არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.